

**კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქობულეთში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარედ სარეკრიაციო ტერიტორიის კეთილმოწყობისა და
განვითარების პროექტის საკონკურსო განცხადება**

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“
საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო
შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

2012 წელი
ქ. ქობულეთი

საკონკურსო განცხადება

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტი (მის: ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი #141) აცხადებს კონკურსს არქიტექტურულ-სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვების მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. შესყიდვის ობიექტია ქ. ქობულეთში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარედ სარეკრიაციო ტერიტორიის კეთილმოწყობისა და განვითარების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა, რომელიც უნდა შედგებოდეს სრული არქიტექტურული ნაწილის, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის, კონსტრუქციული ნაწილის, საინჟინრო-კომუნალური შიგა და გარე ქსელების პროექტებისაგან. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ხარჯთაღრიცხვა.
3. შესყიდვის ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 15000 ლარს.
4. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2012 წლის 21 აპრილიდან 26 აპრილს 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი #141
5. კონკურსი ჩატარდება 2012 წლის 26 აპრილს 16 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი #141
6. კონკურსში მონაწილეობის საფასური:
 - 6.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს კანონის 19¹ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ორმოცდაათი ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://procurement.gov.ge>).
 - 6.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
 - ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
 - ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
- პირის მიერ 6.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება.
8. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.
9. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

11. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.

12. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

13. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

14. საკონკურსო წინადადებაში კონკურსანტმა უნდა მიუთითოს:

- ა) რეკვიზიტები დანართი N1-ის მიხედვით;
- ბ) ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ;
- გ) ინფორმაცია კონკურსანტის მიერ განხორციელებული ანალოგიური მომსახურების გამოცდილების შესახებ;
- დ) გასაწევი მომსახურების ტექნიკური აღწერა (განმარტებითი ბარათი).
- ე) საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტი შემდეგი შემადგენლობით:
 - სიტუაციური გეგმა;
 - ტერიტორიის ფუნქციური ზონირების სქემა ექსპლიკაციით;
 - ტერიტორიის გამოყენების გეგმის სქემა ექსპლიკაციით;
 - საპროექტო ობიექტების (მათ შორის მცირე არქიტექტურული ფორმების) ესკიზები;
 - პროექტები 3D ფორმატში, არსებული ტერიტორიაზე ფოტომონტაჟით.

15. საკონკურსო წინადადების შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- 1. საპროექტო ტერიტორიის განვითარების კონცეფციის ჩამოყალიბება. კოეფიციენტი - 0.4
- 2. სივრცითი მოცულობითი გადაწყვეტა. კოეფიციენტი - 0.4
- 3. საპროექტო სქემის ეკონომიკური და პრაქტიკული განვითარება. კოეფიციენტი - 0.2

შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

16. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში არქიტექტურულ-სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

17. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების შესაბამისად.

18. საკონკურსო განცხადებასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგ მისამართზე: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი #141. საკონტაქტო პირი: ბადრი რომანაძე ტელ: 577 20-59-51;

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქალაქ ქობულეთში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარედ სარეკრიაციო ტერიტორიის კეთილმოწყობისა და განვითარების პროექტი, რომელიც უნდა შედგებოდეს სრული არქიტექტურული ნაწილის, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის, კონსტრუქციული ნაწილის, საინჟინრო-კომუნალური შიგა და გარე ქსელების პროექტისაგან. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ხარჯთაღრიცხვა.

ტერიტორიის სავარაუდო საერთო ფართი: **13650.00 მ²**

ძირითადი მოთხოვნა:

1. აჭარის ადმინისტრაციული ტერიტორიისა და ქ.ქობულეთის აღმნიშვნელი მცირე არქიტექტურული ფორმა.
2. ტურისტულ-საინფორმაციო ცენტრი, საორიენტაციო სამშენებლო ფართი 100-150 კვ.მ.
 - საინფორმაციო ბიურო;
 - სწრაფი კვება;
 - სველი წერტილი;
 - სუვერინების მაღაზია;
3. პარკირება, სამგზავრო და ტურისტული ავტოტრანსპორტისათვის.
 - 15 მსუბუქი ავტომობილი;
 - 10 მიკროავტობუსი;
 - 5 ავტობუსი;
4. საპიკნიკე ადგილის მოწყობა, წყაროსა და სანიტარული კვანძის მოწყობის გათვალისწინებით, 4-6 ჯგუფისათვის.
5. არსებულ ხე-მცენარეებზე საინფორმაციო დაფებისა და დამცავი ზონების განთავსება.

სამშენებლო დოკუმენტის პროექტი უნდა შეიცავდეს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ N 57 დადგენილებით განსაზღვრული შენობა-ნაგებობის შესაბამისი კლასისათვის გათვალისწინებულ დოკუმენტაციას. დამატებით წარმოდგენილ უნდა იყოს:

1. კონსტრუქციული პროექტი სათანადო დეტალიზაციით;
2. წყალმომარაგებისა და წყალარინების (კანალიზაციის) შიგა და გარე ქსელების პროექტი;
3. ელექტრო მომარაგების შიგა და გარე ქსელების პროექტი;

4. სუსტი დენების პროექტი (სიგნალიზაცია, ტელეფონი, ინტერნეტი და ტელევიზია);
5. მიწის ნაკვეთის ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი;
6. მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევა;
7. გათბობისა და კონდენცირების (არაცენტრალიზებული) პროექტი;
8. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემის პროექტი;
9. ასაშენებელი შენობის ვიზუალიზაცია;
10. მთლიანი დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია;
11. ხარჯთაღრიცხვა;

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

შენიშვნა: კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 5 ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიით PDF ფორმატში.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება კონკურსის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის საკონკურსო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. ქობულეთი

„—“ „————“ 2012 წელი

ერთის მხრივ ქობულეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - შემსყიდველი), (ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი #141) და მეორეს მხრივ ————— (შემდგომში - მიმწოდებელი)

(მიმწოდებლის დასახელება და იურიდიული მისამართი)

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი (კონკურსის ნომერი) ქ. ქობულეთში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარედ სარეკრიაციო ტერიტორიის კეთილმოწყობისა და განვითარების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა კონკურსანტის საკონკურსო წინადადება, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება —————ლარად (შემდგომში “ხელშეკრულების ფასი”).

(ხელშეკრულების თანხა ციფრებითა და სიტყვიერად)

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ _ “ხელშეკრულება”) _შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) - შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომლის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად;

1.4 “მიწოდებელი” – პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი ინსპექტორების ჯგუფი.

2.2 კოორდინატორის ფუნქციებია:

2.2.1 გაწეული და/ან გასაწევი მომსახურეობის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;

2.2.2 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

3. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქ. ქობულეთში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარედ სარეკრიაციო ტერიტორიის კეთილმოწყობისა და განვითარების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

4. სტანდარტები

4.1. ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ნორმებსა და დადგენილ სტანდარტებს.

5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1 ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) უნადლო ანგარიშსწორების ფორმით. ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურებაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. წინასწარი ანგარიშსწორების განხორციელება არ განიხილება.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

8.1.1 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

8.1.2 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე-7.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობებით;

8.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

8.3.1 მიიღოს გაწეული მომსახურებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1. მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურება,

8.4.2. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

8.4.3 საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

8.4.4 უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობის განხორციელება პროექტის განხორციელების პროცესში (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტიფიკაციის დადასტურება) სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის დასრულებამდე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებებისას.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ვალდებულების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 1%-ს ოდენობით,

10.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) მხარეთა შეთანხმება;

ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

გ) ერთი მხარის მიერ 10 (ათი) დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;

დ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

12. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

12.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მომსახურება განხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნის დაცვით.

13. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

13.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღისგანმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. ხელშეკრულების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და წყვეტს მოქმედებას მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების დასრულებისთანავე.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, გვერდზე, 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს იურიდიული ძალა აქვს;

16.3 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება „მიმწოდებელს“, ხოლო ორი ინახება შემსყიდველ ორგანიზაციაში.

17. „შემსყიდველი“-ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

17.1 „შემსყიდველი“-ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი #141;

17.2 „შემსყიდველი“-ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“-ს ქობულეთის ფილიალი, ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა **GE56LBO120113125552000**, საიდენტიფიკაციო კოდი **247001890**;

17.3 „შემსყიდველი“ – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

18. „მიმწოდებელი“-ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

18.1 „მიმწოდებელი“-ს მისამართი: _____

18.2 „მიმწოდებელი“-ს საბანკო რეკვიზიტები: _____

18.3 „მიმწოდებელი“- _____

„შემსყიდველი“ – ქობულეთის მუნიციპალიტეტი

„მიმწოდებელი“- „_____“

რეკვიზიტები

1. კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
2. ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
3. კონკურსანტის იურიდიული მისამართი:
4. კონკურსანტის ფაქტიური მისამართი:
5. საიდენტიფიკაციო კოდი:
6. კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:
7. ელექტრონული ფოსტის მისამართი:
8. მომსახურე ბანკის დასახელება:
9. ბანკის კოდი:
10. ანგარიშის ნომერი:

კონკურსანტის ხელმოწერა _____ ბ.ა.

თარიღი _____



